





საბჭოთა მფრინავები ენერგიულად იბრძვიან სახალხო დოვლათის შემდგომი ზრდისთვისაც, ეხმარებიან კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, მზად არიან თავი გამოიჩინონ მაშინ, როცა ეს ყველაზე მეტად სჭირდება საშობლო სსრ კავშირის მფრინავებმა, პარაშუტისტებმა და საჰაერო ფლოტის სხვა

დარგის მუშაკებმა ამ ბოლო წლებში განსაკუთრებით ისახელეს თავი. ათეული ათასობით მფრინავი მთავრობის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა. სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღევანდელი დღესასწაული ახალ სტიმულს მისცემს მათ, შრომასა და

საორბი კიდე მრავალი წარმატების მოსაპოვებლად.

ს უ რ ა თ ე: № ნაწილის ცვლის უფროსი, სპორტის ოსტატი რ. ზაჩიბეიკოვი და მოწინავე ოპერატორი ი. რიხენფელდი მუშაობის დროს. ფოტო დ. პეტრიავისა.

ჩემპიონაზებზე 2 კვირალა ღარჩა

30 აგვისტოს ჩეხოსლოვაკიაში სტარტს აიღებს ფრენბურთულ ვაჟთა მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატი. შეჯიბრებაში მონაწილე გუნდები დაყოფილი არიან 4 ქვეჯგუფად. ქვეჯგუფებში I-II ადგილებზე გამოსული კოლექტივები შექმნიან ფინალურ ჯგუფს. სადაც გათამაშდება პირველი 8 ადგილი.

მსოფლიოს წამყვანი ფრენბურთულეები უკანასკნელ სამზადისს გადიან ჩემპიონატის წინ. საპასუხისმგებლო მატჩებისათვის გულმოდგინედ ემზადებიან სსრ კავშირის ნაკრების წევრებიც. საწვრთნელ შეჯიბრებას ისინი გადიან მოსკოვის მახლობლად ლუბანში, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო ქალაქში.

ამას წინათ საბჭოთა ფრენბურთულეების ვარჯიშს დაესწრო დედაქალაქის ჟურნალისტთა ერთი ჯგუფი. პრესის მუშაკებს შეკითხვებზე ამოწურავი პასუხები გასცა ნაკრების ლიდერებმა ი. გენგეროვსკიმ. ვეჭვდავთ საუბრის ტექსტს მცირე შემოკლებით.

● **შეპიკოვსკი:** ვის თვლით ქვეჯგუფში ყველაზე საშიშ მეტოქედ?

● **პასუხი:** გერმანიის ლეოპოლდო. რესპუბლიკისა და უნგრეთის ფრენბურთულეები.

● **შეპიკოვსკი:** რით გამოირჩევიან ზემოთდასახელებული კოლექტივები?

● **პასუხი:** უკანასკნელ წლებში ვაჟთა ფრენბურთა მნიშვნელოვანი საბიჯი გადგინეს წინ ლეოპოლდო. ქვეჯგუფში. გერმან და უნგრეთის კოლექტივებმა დროულად შეითვისეს თანამედროვე ფრენბურთის სიახლეები და უკვე წარმატებით იყენებენ მათ დიდ ტურნირებში. ორივე გუნდი ძლიერი და საშიში მეტოქეა.

● **შეპიკოვსკი:** როგორ წამოიწყო ნაკრებს ჩვენი ნაკრების წარმატება?

● **პასუხი:** მჭიდროდ აზრს თუ დაეყრდნობით, დამამაჟოფებლად. მეც გეგმობთ მას. გუნდის ყველა წევრი თავს კარგად გრძნობს და მზად არის ბრძოლა სთვას.

● **შეპიკოვსკი:** წვრთნის პროცესში ხომ არ გიხდებოდათ რაიმე ახალი ტექნიკური ამოცანების გადაჭრა?

● **პასუხი:** რა თქმა უნდა, გვიხდებოდა. რა არა მარტო ტექნიკური ამოცანებისა. ბიჭებმა დიდი დრო გაუწიეს მომზადებას ტექნიკური ოსტატობის სრულყოფასაც. თამაშში შეძლება ითქვას რომ სსრ კავშირის ნაკრები წარმატებით დაძლია საწვრთნელი პროგრამა როგორც ფიზიკურ მომზადებაში, ისე ტექნიკურ-ტაქტიკური ოსტატობის სრულყოფაში.

● **შეპიკოვსკი:** ვის მიიჩნევთ ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად?

● **პასუხი:** კოლქურნები ერთი კი არ გიყავს — რამდენიმე, მაგრამ პირველი რიგში მაინც დაეასახლებოთ რუმინეთს, გერმან, ჩინეთსა და იაპონიას.

● **შეპიკოვსკი:** კონკურენტთა შორის თქვენ ევროპული და აზიური სკოლის გუნდები დაასახილეთ. არსებობს თუ არა მათ შორის რაიმე სხვაობა?

● **პასუხი:** არსებობს და საკმაოდ საკმაოდ. ჩემი აზრით, უპირატესობა ამ ორ სკოლს შორის აზიურს ეკუთვნის. დღეს ძალზე ბევრს ლაპარაკობენ ჩინურ ფრენბურთის წარმატებებზე. დარწმუნებული ვარ, რომ ის არ არის გაზიდვადი. იაპონელებიც ჩეხოსლოვაკიაში უდავოდ რაიმე სათარისს შემოგვითავაზებენ, მაგრამ ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ.

ვეტერანთა გადამფრვებითი სიტყვა

თბილისი. „დინამო“ სტადიონი. 17 აგვისტო.
„დინამო“ (თბილისი) — ახვ (როსტოვი) 8:1 (0:0).
„დინამო“ კოტრაიძე, ბ. სივინავა, ზურცილაძე, გელიძე, ცხოვრებოვი, გ. სივინავა, ილიაძე, დათუნაშვილი, იამანიძე, მეტრეველი, მესხი (მასლარაძე).
ასა: ივანოვი, გეტმანოვი, აფონი, კაზარკი, კრივობოროდოვი, შიკუნოვი, კუჩინსკი, ჩერტოვი, კოპაევი (ბუროვი), ესკოვი, მატვეივი.
მსაჯი ა. ზეერევი (ლენინგრადი).

სსრ კავშირის 1966 წლის ჩემპიონატში თბილისის „დინამო“ პირველად გამოვიდა თბილისის ნამდვილი საბრძოლო შემადგენლობით. ასეთივე ძირითადი გუნდით იბრძოდა როსტოვის არმიული გუნდიც, მაგრამ თბილისელებს ძირითად შემადგენლობას გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე სტუმრებისთვის: ჩვენი გუნდი კარგა ხანია კრიზისის პერიოდს განიცდიდა, როსტოველებმა კი თავიდანვე უკეთ შეაფასეს დანაკლისი და ლიდერთა შორის დამყვანობას ადგო.

პირდაპირ უნდა ითქვას: ვეტერანთა ძალა პირველივე წუთებიდან იგრძნობოდა, თბილისის „დინამო“, რომელიც გუშინ ძირითადად „1964 წლის ნიშნით“ იყო წარმოდგენილი, გაცილებით უკეთ თამაშობდა, ვიდრე წინა მატჩებში.

როსტოველებს მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში თავიანთ საჯარიმო მოვლანზე მოუხდით ბრძოლა და, იტყობა, გუნდი, აღრევე იყო საამისოდ მზად. დინამოელთა პირველივე იერიშების შემდეგ მათ სასწრაფოდ გააძლიერეს დაცვის ხაზი, რის შედეგადაც წინა ხაზზე დარჩნენ მხოლოდ კოპაევი, მატვეივი და ნაწილობრივ — ესკოვი, დანარჩენები ემსახურებოდნენ მხოლოდ დაცვით ამოცანებს. თბილისელები უტყველდნენ თითქმის განუწყვეტლივ, ფლანგებზე, ცენტრშიც, მაგრამ 45 წუთში მათ ვერაფერი მოუტანა — 0:0.

წუთზე „დინამოს“ თავდასხმელებმა ადგილების ცვლით გაითამაშეს კომბინაცია, რაც ძლიერი დარტყმით დამთავრა დათუნაშვილმა. ივანოვმა ვერ შეაჩერა ხელში ბურთი და იამანიძემ ახლოდან გასხა ახვარში — 1:0.

როსტოველები განაგრძობდნენ პოზიციურ თამაშს და თავიანთი მცირერიცხოვანი კონტრიერიშების იმედით იყვნენ, მაგრამ როცა იამანიძემ მე-14 წუთზე შორი მანძილიდან ზუსტი დარტყმით მეორედ აიღო მოწინააღმდეგის კარი (კომბინაცია გ. სივინავა—მასლარაძე—იამანიძე), მათ სასწრაფოდ შეცვალეს ტაქტიკა. 0:2, ეს უკვე დამარცხებას ნიშნავდა, ამიტომ წინა ხაზზე გადმოვიდა კუჩინსკი, გააქტიურდა შეკრუვი. თამაშის სიმძიმე დაწვა მასპინძელთა დაცვას და მეკარეს. უნდა ითქვას, თბილისელები ორგანიზებულად შეხედნენ ამ შტურმს.

28-ე წუთზე არმიელები იერიშზე იმყოფებოდნენ. დაცვიდან მიღებული ბურთი ილიაძემ ზუსტად გა-

დაწოლა მაისურაძეს, ამ უკანასკნელმა კარგად გამოიყენა მომენტი და როცა მეკარე ივანოვი მის შესახვედრად გამოდიოდა, კარიდან, მშვიდად გადაუდლო მას თავს ზემოთ ბურთი — 3:0.

ეს უკვე გამარჯვება იყო. მართალია, როსტოველებმა მატჩის ბოლო, 90-ე წუთზე შეძლეს ერთი გოლის გაჭედივა (ბუროვი), ისეთ სიტუაციაში, როცა მსაჯებო კარგად ვერ გაერკვნენ ფრთხილ სიგნალიზაციაში. შეიძლება გაეიმეოროთ, რომ თბილისის „დინამომ“ მატჩი კარგად ჩაატარა ერთ-ერთი ლიდერის წინააღმდეგ.

რ. ჭორობა.

გეგმ...

მოსკოვში, „ლოკომოტივის“ ახლადგახსნილ სტადიონზე, საკავშირო ჩემპიონატის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და კიევის „დინამო“.

მატჩი მოიგეს კიეველებმა — 3:0. ბურთები გაიტანეს პარკუიანმა, ბიშევიცმა და მუნტანამ.

სსრ კავშირის საკავშირო ფლოტის დღეა!

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. ჩვენი რესპუბლიკის გუნდები გამოდიოდნენ მეტოქეთა მიწებზე. აი, შედეგებიც: „არაქსი“ (ერევანი) — „კოლხიდა“ (ფოთი) 1:0, „ლორი“ (კიოვანია) — „დინამო“ (სოხუმი) 2:2, „გემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:0, „ურთაი“ (კრისკი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 3:0, „ურთაი“ (მაიკოპი) — „დილა“ (გორი) 4:1, „ურალანი“ (ელისტა) — „მეშახტე“ (ტყეულო) 1:1, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ურთაი“ (დერბენტი) 1:0, „დინამო“ (მასაჟალა) — „მამინოსტრითელე“ (პიატიგორსკი) 2:0, „სპარტაკი“ (კისლოვოდსკი) — „სეგბი“ (ოტტენბერგანი) 2:1.

„ს“ II კავშირი

„ა“ კლასის II ჯგუფის გუნდების მორიგი ტურის მატჩები ასეთი შედეგებით დამთავრდა: „როსტოვი“ — „ალაზანი“ (როსტოვი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 0:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „დინამო“ (ტალინი) 4:0, „მირაკი“ (ლენინგრადი) — „ალაზანი“ (ელისტა) 1:0, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „სპარტაკი“ (გომელი) 1:0, „დინამო“ (კიოვანია) — „ტექსტილშხიკი“ (ივანოვო) 1:1, „ურთი“ (გორი) — „რუბინა“ (ყაზანი) 0:1.

„ს“ I კავშირი

„დინამო“ (კიევი)
„სპარტაკი“ (მოსკოვი)
„ტოროპელო“ (მოსკოვი)
„პახტაჰორი“ (ტაშკენტი)
„სპარტაკი“ (როსტოვი)
„დინამო“ (მოსკოვი)
„დინამო“ (თბილისი)
„ნეშტინიანი“ (ბაქო)
„ზენიტი“ (ლენინგრადი)
„პარაბი“ (ალმა-ათა)
„დინამო“ (მინსკი)
„შახტიორი“ (დონეცკი)
„პარაბი“ (ერევანი)
„ნარნოვოროდნი“ (ოდეზა)
„ტოროპელო“ (კუთაისი)
„არ. სოვეტოვი“ (კუბიშევი)
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)
ბსპ (ოდეზა)

გათამაზების ცხრილი

ძირითადი შემაჯავნელობანი									
მელომარეობა 18 აგვისტოსათვის									
თ.	მ.	ფ.	გ.	ბ.	კ.				
21	15	6	0	46	36				
20	11	6	8	45	28				
20	11	6	3	31	19				
21	9	7	5	34	22				
19	7	11	1	19	12				
20	12	1	7	83	32				
20	8	5	7	28	22				
21	7	7	7	23	21				
20	7	8	7	25	17				
21	8	4	9	28	34				
18	8	3	7	19	20				
19	5	7	7	19	24				
19	7	3	9	17	23				
21	5	7	9	15	29				
21	4	8	9	19	28				
20	6	8	11	28	39				
20	3	8	9	15	29				
19	4	1	14	15	39				
20	1	5	14	11	35				

მრავალმხრივი შედეგები

როგორც ჩვენი გაზეთის გა-
შენიდან ნათქვამი ვიწყებო-
ბო, სანტა-მონიკას საერთაშო-
რისო საჰაერო ტურნირის და-
სვენით, XVIII ტურში ბ. სპას-
კიმ სძლია ი. დონერს და „ბი-
ატიგორსკის თასი“ დაისაკუთრა.
რ. ფიშერმა ყაიშის მეტს ვერას
მიადგინა ტ. პეტროსიანთან და
II ადგილს დასჭირდა.
დანარჩენ შეხვედრებში ს. რე-
შევსკიმ მოუგო მ. ნაიდორფს, ვ.
უნციკერ — ბ. ლარსენი, ლ. პო-
რტიში — ბ. ივკოვი ყაიშზე შე-
თანხმდნენ.

საბოლოოდ ადგილები ასე გა-
ნაწილდა: I. ბ. სპასკი (11,5), II.
— რ. ფიშერი (11), III. — ბ.
ლარსენი (10), IV-V. — ლ. პო-
რტიში, ვ. უნციკერი (9,5-9,5),
VI-VII. — ტ. პეტროსიანი, ს.
რეშევსკი (9-9), VIII. — მ. ნაი-
დორფი (8), IX. — ბ. ივკოვი
(6,5), X — ი. დონერი (6).

„გ. პიტიგორსკის თასისთვის“ წლე-
ულს უაღრესად ძლიერი მოჭადრაკეები
იბრძოდნენ. ამიტომ გულშემატკივრები
და სპექტატორები ამ ასპარეზობისგან
მოულოდნელად ამოწურავენ პასუხს ბევრ კი-
თხაზე. მაგალითად, როგორ სპორტულ

ფორმაშია ბ. სპასკი, არის თუ არა ბ.
ლარსენი დასავლეთ ევროპის № 1 მო-
ჭადრაკე, სიმ არ ღაწინდარ. ფიშერის
ოსტატობა და კვლავაც უნდა ჩაითვა-
ლოს თუ არა იგი მსოფლიო პირვე-
ლობის ღირსეულ პრეტენდენტად, რო-
გორ თამაშობს ლ. პორტიში, სიმ არ
იმოქმედა წლებმა ერთ დროს ყოველი
მოჭადრაკისთვის მრისხანე მეტოქეების
ს. რეშევსკისა და მ. ნაიდორფის ძალა-
ზე.

ტურნირმა მრავალმხრივი პასუხი
გაცა გველა ამ კითხვას. საკმარისი
თვალი გადავავლოთ. დიდოსტატთა შე-
დეგებს I და II წრეში:

ბ. სპასკი — 6, 5,5, რ. ფიშერი —
3,5; 7,5, ბ. ლარსენი — 6; 4, ლ.
პორტიში — 4,5; 5, ვ. უნციკერი —
4,5; 5, ტ. პეტროსიანი — 4; 5, ს. რე-
შევსკი — 5; 4, 8. ნაიდორფი — 4; 4,
ვ. ივკოვი — 3, 3,5, ი. დონერი —
4; 2.

ბ. სპასკი გაუტყუელი კაცი აღმოჩნ-
და. როგორც ჩანს, მასზე არ უმოქმე-
და ფიშერის ტ. პეტროსიანთან მატჩში
და სოჭის საერთაშორისო ტურნირში.
ახალგაზრდა დიდოსტატმა მთელი ტურ-
ნირი თანაბარი ძალით ჩაატარა ისე,
რომ არც ერთი პარტია არ წაუგია.
სხვათა შორის, ასპარეზობის მონაწილე-
თაგან ეს მხოლოდ ბ. სპასკიმ შეძლო.
სანტა-მონიკაში გამარჯვებით მან აშ-
კარად „განაცხადა“ ადგილი შესაძლე-

ბელია, მსოფლიო ჩემპიონის სახელის
მოსაპოვებლად ტ. პეტროსიანს ისევ
მე ვეთამაშო. ეს მით უკრთო სარწმუნოა,
რომ საბჭოთა მოჭადრაკე მთაბრუნებელ-
ად მოუგო პრინციპული შეხვედრა ამე-
რიკელთა კერპს — რ. ფიშერს.

ამჟამად ჩემპიონი კვლავ ერთ-ერთი
უძლიერესი დიდოსტატთა შორის I
წრეში იგი თითქმის დაბნეული თამა-
შობდა, მაგრამ, სამაგიეროდ, II წრე-
ში ფენომენალური შედეგი აჩვენა. რო-
გორც ჩანს, 23 წლის მოჭადრაკეს გადა-
წყვეტილი აქვს სერიოზულად იბრძო-
ლოს ტ. პეტროსიანთან მატჩის უწყვე-
ბის მოსაპოვებლად. რ. ფიშერს წარმა-
ტების ღირსეული აქვს, ამიტომ
მსოფლიო პირველობის ახალი ციკლი
უდიდეს ინტერესს იწვევს.

თავად მსოფლიო ჩემპიონმა მეტის-
მეტად წარუმატებლად ითამაშა. ტ. პე-
ტროსიანი 1952 წლიდან სისტემატუ-
რად მონაწილეობს საერთაშორისო ტუ-
რნირებში და ეს იყო პირველი ასპარე-
ზობა, რომელშიც მან V ადგილსაც ვერ
მიადგინა. მისი მარცხი მხოლოდამხო-
ლოდ დადებითი შედეგია აიხსნას:

ბ. ლარსენმა დამტკიცა, რომ ყველა-
სთვის სამშინ მეტოქეა მსოფლიო პირ-
ველობისთვის ბრძოლაში, მაგრამ იგი
სავსებით ჯერ კიდევ ვერ განუწინებუ-
ლა ზერეულ თამაშის ჩვევიდან (ლარ-
სენმა 4 პარტია წააგო II წრეში).


უნგრელმა ლ. პორტიშიმ და გერმა-
ნელმა ვ. უნციკერმა ცხადყვეს, რომ სა-
ზოგადოებრივი ტურნირში ტოლს არა-
ვის დაუდებენ. სხვათა შორის, ვ. უნცი-

კერი მხოლოდ ბ. სპასკიმ დამარცხა.
უმცროს კოლეგებს დიდი კონკურენ-
ცია გაუწიეს 55 წლის დიდოსტატებმა
ს. რეშევსკიმ და მ. ნაიდორფმა, მაგრამ
ძალია ბოლომდე არც ერთს არ ეყო. პირ-
ველმა II წრეში 2 პარტია წააგო და
1 (მ. ნაიდორფთან) მოიგო, მეორე კი
3 პარტიაში დამარცხდა.

ბ. ივკოვი არ იყო ჩვეულ სპორტულ
ფორმაში. ი. დონერმა მისი შესაძლე-
ლობის შესაფერისი ადგილი დაიკავა.

სანტა-მონიკას ტურნირის პარტიები,
რომლებიც საულ მალე გამთქმუნდება
საგანგებო ბიულეტენში „საერთაშორი-
სო შეხვედრები“ (მოსოფლიო გამოცემა),
დიდ სამსახურს გაუწიეს თანამედროვე
საჰაერო ტელევიზიის წინსვლას.

თ. გიორგაძე.



— მინდა ვითამაშო ყველა 24 პარტია. ვითამაშო
კარგად. მე არ ვლამაზობ მოგებაზე, ვფიქრობ კარგ
თამაშზე, ლამაზ პარტიებზე, შემოქმედებაზე. ჩემთ-
ვის, ალბათ, ისე როგორც სხვა მოჭადრაკეთათვის,
ამაში მთავარი ღირებულება... — ასე ამბობდა ბ. სპასკი
მსოფლიო პირველობაზე ტ. პეტროსიანთან მატჩის
წინ. მართალია, ნიჭიერმა დიდოსტატმა წააგო მატჩი,
მაგრამ ზოგიერთი პარტია ისე ითამაშა, როგორც სუ-
რდა. სანტა-მონიკაში სპასკიმ მთლიანად აისრულა
ოცნება — ითამაშა ლაღად, ლამაზად, შთამბეჭდავად,
რასაც, ბუნებრივად დიდი, შთამაგონებელი გამარჯ-
ვებაც მოჰყვა.

ჯანმრთელობის ტრიბუნა დასვენების 5 წუთი

თუ არ გინდათ მეტისმეტად გა-
დაღლილად გონებრივი მეშაობით,
ყოველდღიურად დაუთმეთ რამდე-
ნიმე წუთი აქტიურ დასვენებას.
კომპლექსი, რომელსაც ახლა გათ-
ვაზობთ, დიდად უწყობს ხელს
ცენტრალური ნერვული სისტემის
ტონუსის ამაღლებას, საოცრად
წამალია დაქანცულობის წინააღ-
მდე.

ვიდრე ამ კომპლექსის შესრულ-
ებას შეუდგებოდით, არ დაგვიწყ-
დეთ, თანაში პაჩიო გაქმნდეთ
და იარაღი 30 წამის განმავლობაში,
თან აქტიურად ამოძრავებთ ხელე-
ბი.

1. დადგით ფეხები თანაბრად ან
კარგად, ფეხები მხრების სიგანეზე
გადადგით, ხელის თითები ერთმანეთს
დააბჯდით.

ასწიეთ ხელები (ხელისაგულბით
ზევით, თითები არ გახსნათ), დაი-
ძაბეთ, თავი უკან გადაიხედეთ და
ჩაისუნთქეთ. ამოსუნთქვისას ხე-
ლები გაშალეთ და საწყისი მდო-
მარობაში მიიღეთ. ეს გარკვეულ
ჯერ გაიმეორეთ.

2. კვლავ საწყისი მდგომარეობა.
ხელები მოკლედ დაიწყოთ, ნელ-
ნელა ამოსუნთქეთ, მსუბუქად და-
იხილეთ მკერდის კუნთები, შეისუ-
თქეთ, ხელები დაუშვით, მოკლედ
წინ წამოსწიეთ. სუნთქვის დროს
ნელ დაძაბებით. მხრებს ნელ ასწიეთ.
გარკვეულ 8-ჯერ შესრულდით.

3. წარუდგით, 20-ჯერ დაიხილეთ
გერ მარჯვნივ ხელისაგულით მარ-
ცხენა მხარე, შემდეგ კი მარცხენა
ხელისაგულით მარჯვნივ მხარე. მო-
ძრაობა თავდაპირველად მსუბუქი
უნდა იყოს. თანდათან უფრო და-
ძაბეთ ძალა და აუჩქარეთ.

4. ორივე გაშლილი ხელისაგული
გადასვით სახეზე — ნიკაბიდან
შეუღოს მხარეთა კუთხეები, მერე
თავი, კისრები, კისრები. ეს 4-ჯერ
გაიმეორეთ.

5. ორივე ხელი (თითები ბოლო-
მდე არ გაშალეთ) გადასვით თავ-
ზე გერ ნელ-ნელა, მერე თანდათან
აუჩქარეთ. 10-ჯერ.

ვირის მეორე ფალანგი გადასვით
წარბებზე (საფეთქლებამდე) 10-
ჯერ.

7. იარაღი. ღრმად ისუნთქეთ.

8. ფეხები ერთად დადგით. (კერა
და სარკინიგზო თითები 10-ჯერ
მოისრულეთ ყურის მიმართობით. შე-
მდეგ მარჯვნივ ხელისაგული დაი-
თარეთ მარჯვნივ ყურზე და მსუ-
ბუქად, წრიული მოძრაობით დაი-
ხილეთ იგი. იგივე გაიმეორეთ მარ-
ცხენა ხელით მარცხენა ყურზე. ეს
ვარჯიში 10-10-ჯერ უნდა შესრულ-
დეს.

9. დიდი. თავი მიაბრუნეთ
გერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ,
6-6-ჯერ, თანდათან აუჩქარეთ. გერ
დახარეთ თავი, მერე უკან გადაი-
ხედეთ, ესეი 6-6-ჯერ გაიმეორეთ.
გადადგით 2-2 ბრუნვითი მოძრაო-
ბა თავით ხან მარჯვნივ, ხან მარ-
ცხენი (4-4-ჯერ).

10. საწყისი მდგომარეობა. ფე-
ხები მხრების სიგანეზე. ხელები
წინ (ხელისაგულბით ზევით). და-
იხარეთ. ექვდით მხლები არ მო-
ღწიეთ, ისე დასწიეთ თითები
იარაღს. ამოსუნთქეთ. გასწორდით,
ასწიეთ ხელები, ჩაისუნთქეთ.

11. საწყისი მდგომარეობა იგი-
ვეა. ორივე ხელისაგული 10-10-
ჯერ დაიბრუნეთ (მარჯვნივ სწრაფი
უნდა იყოს) მუბუჩი, კისრები,
მერე ნელ, მოკლედ (ძალიან მსუ-
ბუქად), დონელებზე (მძლე-
რად) და ბარძაყებზე.

12. იარაღი. თავიდან ნელა, მუხ-
ლი მაღლა ასწიეთ, შემდეგ აბიჯს
აუჩქარეთ და ბოლოს ისე მოუ-
ხილეთ. სუნთქვას ნელ შეიკრეთ,
ხელები თავისუფლად, ლაღად ამო-
ძრავთ.

ვისაც სისხლის წნევა მაღალი
აქვს, მისთვის მე-12 ვარჯიში შე-
სრულება მიზანშეუწონელია, გობს
წყნარად, ნელა, თანაბარი ნაბიჯით
იარაღს რამდენიმე ხანს ითავს და
ღრმად ისუნთქოს.

5. რეინიზილი,
სამკურნალო ფეხსეულტურის
მეთოდისტი.

პილავ პრემი საჩუქარი

კიდევ ერთი ძვირფასი საჩუქარი
მიიღეს მოსკოვის საორტოპედია.
გულში მწყობარში ჩადგა „სოკოლო-
ტის“ სტალინი, რომელიც თავი-
სი მნიშვნელობით მესამე საორტო-
პედია ბაზა იქნება დედაქალაქში (ვ. ი.
ლენინის ცენტრალური და „დინა-
მო“ სტადიონების შემდეგ). მაგრამ
არ უნდა დავივიწყოთ, რომ სტალი-
ნი, ეს არის რეინიზებული საორ-
ტოპედია კომპლექსის მხოლოდ ერთი
წელი.

სტალინის კომფორტაბელურო-
ბაზე და თანამედროვეობაზე ლაბა-
რაცი უნდა იქნება. აქ არის ყველა-
ფერი, რასაც საორტოპედია ნორმა-
ლური წვრთნისთვის, შეჯიბრებებისა
და დასვენებისთვის სჭირდება. 8
სართულიანი ბილიტი, სახტომი ორმო-
ბი, ტურცინის სეტარები და ა. შ.
დიდი მძლეოსნური ტურნირების
ჩატარების საშუალებასაც იძლევა.

სტალინის 4 წერტილში ამაზ-
რულია გვებრუნება ანემიის ელექ-
ტროგაგებისთვის. „სოკოლოტის“
გის ბაზაზე ფეხსეულტურის მატჩე-
ბის ჩატარება ლამაზად შესაძლებე-
ლი იქნება.

საქმი საქმი

● სალი, 16 აგვისტო. იუგოს-
ლავიის ამ ქალაქში მძლეოსანთა
შეჯიბრებისას იტალიელმა ე. ოტო-
ნიმ 110 მეტრზე თარჯინენი აჩვენ-
და 13,8 წამი.

● სტოკჰოლმი, 16 აგვისტო.
მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრე-
ბის მონაწილე ამერიკელმა ზანგმა ტ.
სმიტმა 400 მეტრი გაიბრინა 45,6 წამ-
ში. მეორე იყო პოლონელი ბადენსკი
— 47,2.

● ლუვენი, 16 აგვისტო. ბელ-
გიის ამ ქალაქში ჩატარდა მძლეოსანთა
საერთაშორისო ასპარეზობა. წარმატე-
ბით გამთავიდა აფრიკელი მორბენალი გ.
კონე (საბოლოო დრო 1:10,1), რომელ-
მაც 100 მეტრი 10,2 წამში დაფარა.

● გორბილი, 16 აგვისტო.
ნიმბოზების და აფროსიების ასეთი
ჩვეულება აქვთ: გამარჯვების აღსა-
ნიშნად წყალში აგდებენ თავი-
ანთ მესაჩუქებს. მაგრამ ფრანკმა
სამთა მოთხილამურებმა აქ, მსო-
ფლიო პირველობის დამთავრების
აღსანიშნად ბანკეტზე, თავიანთი
გუნდის წევრები — აგარტორ სლა-
ლოში გამარჯვებული გი პირი ჩა-

აგდეს... უზარმაზარ სადღესასწაუ-
ლო ტორტში. შემდეგ მოგლე-
ნებმა, როგორც ამას ფრანს პრესი-
სა და იუბილ-ს სააგენტოები იუწყ-
ებენ, სხვა ხასიათი მიიღო. ერთ-
მანეთისთვის ტკბილეულის სროლა
ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარ-
და, პირში აფრინდნენ ჭიჭიბი,
ბოთლები... ჩილის ღვინაქალაქის
ორი წარმომადგენელი „შუშის ნამ-
სხვრეგებით დაიჭრა კიდეც. ერთ-
ერთმა იაპონელმა მოთხილამურებ
მეტოქეების მოსაგერიებლად ჯოჯო-
ჯიოქი გამოიყენა. პოლიცია რომ
არა, ვინ იცის ეს სისხლისღერა
როდემოდ გასტანდა.

● კინგსტონი, 16 აგვისტო. აქ
ბრიტანეთის თამაშების პროგრამით გა-
ნიხრთა მოგრიგება ტურნირი, რომელ-
შიც შესანიშნავი წარმატება მიიპო-
ვეს აფრიკელმა სპორტსმენებმა. მათ
6 წონით კატეგორიაში პირველი ად-
გილები დაიკავეს.

● ბერლინი, 16 აგვისტო. ვე-
ლოსპორტის გერმანულმა კავშირმა შე-
ადგინა გერმის ნაჭები გუნდი, რომე-
ლიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო
პირველობაში.

მუშა-მოსამსახურეთა სკარტაკია

მორჯიშები დამთავრდა ხის დამამუ-
შავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფ-
კავშირების რესპუბლიკური სპარტაკია-
და, რომელშიც მონაწილეობდნენ საქა-
რთელის სხვადასხვა ქალაქის ფიზკულ-
ტურული კოლმეტიების მუშა-მოსამს-
ახურებები.


საერთო ყურადღების ცენტრში იყო
ქართული ჭიდაობის ოსტატობა და ფრენ-
ბურთელთა გამოსვლები.
ქართულ ჭიდაობაში და მძლეოსნობა-
ში გაიმარჯვეს თბილისის საავიჯრ
გაერთიანების — „განთადის“ სპორტ-
სმენებმა. ქუთაისის ავეჯის ფაბრიკის
წარმომადგენლები პირველობი იყვნენ
კალათბურთსა და ფრენბურთში.

პოლანდის საკუორტო ქალაქ უტ-
რესტში 3 დღის შემდეგ დაიწყო ევ-
როპის მორიგი ჩემპიონატი ცურვაში.
ამასთან დაკავშირებით იუგოსლავური
გაერთიანებული აქვეყნების საინტერე-
სო პროგნოზებს და თვლის, რომ გენ-
დურ ჩათვლაში გამარჯვების მთავარი
პრეტენდენტები ასრ კავშირისა და
გერ-ინ სპორტსმენები იქნებიან, ხოლო
პირად ასპარეზობაში ამ ქვეყნების
წარმომადგენლებს ძლიერი მეტოქეები
ეყოლებათ მასპინძლების, ბელგიელების,
ფრანგების, იტალიელებისა და სხვათა
საზიო. შემდეგ კორესპონდენტი ცალ-

სახეობაში ფავორიტთა შესაძლებლო-
ბებს და განსაკუთრებით ვრცლად ჩერ-
დება თავისუფალი და ბრასის სტი-
ლით ცურვაზე.
ერთა შორის (შეჯიბრება ჩატარდება
25-26 აგვისტოს) ბრასის სტილით
ორივე დისტანციაზე გამარჯვების ძირი-
თად პრეტენდენტებად ავტორის საბჭოთა
სპორტსმენები ლეოველი გ. პროკოპენკო
და თბილისელი ა. ტუტაკავეი მიაჩნია.
იგი აღნიშნავს, რომ წლებადელი შე-
დეგების მიხედვით მართალია, ევროპის
უძლიერესთა იცეულს ამ სახეობაში

კავეს ყველა შესაძლებლობა გააჩნია მე-
ტოქე ისევე დამარცხდეს, როგორც სსრ
კავშირის პირველობის დროს. და იქვე
დასძენს: საბჭოთა სპორტსმენებს უტ-
რესტში ყველა შანსი ექნებათ დაიბრუ-
ნონ 200 მეტრზე ბრასით ცურვაში
დაკარგული მსოფლიო რეკორდი.
რაც შეეხება ქალთა ტურნირს (გაი-
მართება 22-23 აგვისტოს) 200 მეტრ-
ზე ბრასით ცურვაში ავტორი უპირატე-
სობას აქვს სსრ კავშირის სპორტსმე-
ნებს მსოფლიო რეკორდსმენს ი. პოზდ-
ნიაკოვას და გ. პროკოპენკოვას აკუ-

5. კალაძე.



რა შედეგება ამ სიხარულს, ამ აღტაცებას? ფეხბურთის სამშობლომ — ინგლისმა — მრავალი წლის ნატვრა აისრულა! ეს-ეს არის, დამთავრდა ინგლისისა და გფრ-ის ნაკრებთა ფინალური მატჩი. ოქროს ქალღმერთი ბრიტანეთის კუნძულზე დარჩა — ასეთია ფინალური შეხვედრის „მშრალი“ შედეგი. მაგ-

რამ რამდენი ენერგიის, რაწაირი ნერვული დაძაბულობის ფასად მოვიდა ეს დიდი წარმატება! ზეიმობენ ინგლისელი ფეხბურთელები, ზეიმობს ინგლისი და ამ ზეიმს უერთდებიან მილიონობით გულშემატკივარი, ვინაიდან ფეხბურთის სამშობლომ ღირსეულად დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო.



სურათზე: საბჭოთა ფეხბურთის წარსული და აწმყო — ტუავის ბურთის ორი უბადლო ოსტატი — მ. იაკუშინი (მარცხნივ) სუვენირს იძენს „უემბლის“ ერთ-ერთ ჯიბურში (მარჯვნივ) მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ლ. იაშინი მეუღლით.

ინგლისში ჩვენი ნაკრების წევრთა სახელზე უამრავი წერილი მოდიოდა. ერთ-ერთი ბარათი პირადად მ. ხურცილაძესა და გ. სიჭინავას სახელზე იყო. აი, ისინი გულდასმით კითხულობენ უცხოში მეგობრის სურვილებს. თხოვნა ერთია: ჩვენ ზრუნვასა და უურადლებას არ მოგაკლებთ, ოღონდ თქვენ მანდ იმარჯვეთო.



შეტევაზეა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, პორტუგალიის ნაკრების სული და გული ეუსებიო.



„უემბლი“ სტადიონი — ფეხბურთის მექა.

ფოტო მ. ზარგარიანი. (ჩვენი სპეტ. კორ.)

როსა და სხრნე მნაგა

გვიამოვს
საპა მებრძოლი

სსრ კავშირის ფეხბურთელთა
ნაკრები გუნდის წევრებს ინგ-
ლისის VIII მსოფლიო ჩემპიონ-
ნატიდან დაბრუნების შემდეგ
მოკლევადიანი დასვენება მიე-
ცათ.

მშობლიურ ქალაქს — სოჭს
ეწვია სპორტის დამსახურებული
ოსტატი სლავა მებრძოლი.

სამხარეო საკურორტო გაზეთი
„ჩერომორსკია“ ზღრავნიცას
„კორესპონდენტი“ შეხვდა მას და
სთხოვა გაეზიარებინა VIII ჩემ-
პიონატზე მიღებული შთაბეჭდი-
ლებები.

— უპირველეს ყოვლისა, მინდა გი-
თხრაო, რომ ინგლისში, რომ იტყვიან,
უბრალოდ არ გამიბართლდა. პირველი
მატჩის წინ კორეის გუნდთან ფეხი და-
ვიზიანე და თამაში ვერ შევძელი. ეს
ძალზე საწყენი და დასანანი იყო. ამ-
დენს ვეზადებოდი და ვეფერად...

რას ვიზამდი, იძულებული გახდი
მაყურებელი ვყოფილიყავი და ტრიბუ-
ნიდან გამეწვია გულშემატკივრობა ჩემი
გუნდისთვის. ეს კი, გამოვსატყდებით,
უფრო მძიმეა, ვიდრე თამაში.

იტალიის ნაკრებთან მატჩისთვის ძა-
ლზე სერიოზულად ვემზადებოდი, მაგ-
რამ, ჩემდა საოცრად, მწვრთნელმა ნი-
კოლოზ მოროზოვმა გუნდის შემადგენ-
ლობაში არ შემოიყვანა იმ მოტივით,
რომ გიორგი სიჭინავაძე, რომელსაც მცო-
რე ტრავმა ჰქონდა კორეის ნაკრებთან,
სუსტად ითამაშა. ამიტომ მას „არც
ჩემი თამაშის იმედი ჰქონდა“ — ამ გა-

დაწყვეტილებას არ შეიძლება გული არ
გაეტეხა ჩემთვის.

მსაყვედურობენ, რომ ჩილის ნაკრების
წინააღმდეგ პასიურად ვითამაშე. არ
მინდა თავი გავიმართლო, მაგრამ არც
ის ამბავი უნდა დავივიწყო, რომ ჩვენი
გუნდი დაკომპლექტებული იყო კრილო-
ვის იგავის — „გედი, კიბო და ჭარი-
ყლაპის“ პრინციპით. და თუცა ჩილის
გუნდთან შეხვედრის შედეგს ჩვენი გა-
მარჯვებულის გამოვლინებისთვის ვადა-
მწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ჩვენ
მიანიჭ სპორტულად, პრინციპულად მი-
ვუღებოდა მატჩს და მფიცგეთ რა იგი, ხე-
ლი შევწყვეთ ჩვენს კორეულ მეგობრებს
გასულიყვნენ ჩემპიონატის მეოთხედფე-
ნალში.

უნგრეთის გუნდთან შეხვედრისას
მწვრთნელმა კვლავ არ გამომიყვანა.
რას იზამ, მან უკეთ იცის. ეს მატჩი
საბჭოთა ნაკრებისთვის საკუთმნიშვნელო
იყო ამ ჩემპიონატში. ჩვენმა გუნდმა
მთელი ძალით ითამაშა.

უნგრელებთან გამარჯვების შემდეგ,
მეოთხე ადგილი უკვე განადგურებული
გვქონდა. წინ იყო შესვენება გერმანიის
ნაკრებთან. აი, აქ კი შედგა ნ. მორო-
ზოვი. როგორც ჩანს, ჩვენი მწვრთნელე-
ბი ვერაფრით ვერ აღწევდნენ თავს მუდმივ
შეცდომაში — ნაკრების ახალგაზრდა
ფეხბურთელთა მიმართ უნდობლობასა
და ძირითადი შემადგენლობის გადატა-

ვითვას. გერმანელების პირისპირ
მწვრთნელმა გამოიყვანა იგივე შემად-
გენლობა, რომელმაც წინა მატჩში ითა-
მანა უნგრეთის ნაკრებთან, თუმცა იცო-
და, რომ შესტერნიოვი ტრავმირებულია,
საბო და ჩისლენკო — გადაღლილნი.
იცოდა ისიც, რომ აფონინს, მარქაროვს,
ოსტროვსკის, კორნეევს, პერბერიაიკოვს
საბრძოლველად უწევდათ გული. დარწ-
მუნებული ვარ, ისინი თავიანთ დაქა-
ცულ ამხანაგებზე ნაკლებად როდი ითა-
მაშებდნენ. მწვრთნელის გადაწყვეტილე-
ბის დასანანი შედეგი ამკარაა — ჩის-
ლენკოს ნერვებმა უმტყუნა. უნდა ით-
ქვას, რომ იგორი ისედაც უნდა გასული-
ყო მოედნიდან — მცველმა მწვინ-
გერმა მას „შეიპყრო“ დაუსერა მთელი
მუნდი და თამაში უკვე აღარ შეეძლო.
ამ მატჩში ჩვეულებრივზე სუსტად გამო-
ვიდნენ შესტერნიოვი, ჰუსინოვი, ბანი-
შევსკი. მოკლედ — მეორე ადგილი ხე-
ლიდან გავვისსლტა. თუმცა შემადგენ-
ლობის დადგენის საკითხს რომ უფრო
შემაჯღებდით მოგვიდებოდათ, მატ-
ჩის შედეგი შეიძლება სხვაგვარი ყოფი-
ლიყო.

პორტუგალიასთან შეხვედრისას ნ.
მოროზოვმა გუნდს რატომღაც დაცვიით
მოქმედებისკენ მისცა გზი: — სუთი
ფეხბურთელი — პონომარიოვი, ვირო-
ნინი, ხურცილაკა, კორნეევი და დანი-
ლოვი — თამაშობდა უკან, წინ კი ჩვენს

გარდა, ბანიშევსკი და მალოფევი მოქ-
მედებდნენ. რატომ? თავდაცვაზე ფიქ-
რით ხომ გამარჯვებას ვერასდროს ვერ
მიადგვამ ჩვენი ნაკრების ტერიტორი-
ული უპირატესობა ნათელი იყო — გო-
ლების გამტანი კი არავინ გასლდათ.

ეს ჩემი, წმინდა სუბიექტური დასკე-
ნება ინგლისის სტადიონებზე საბჭოთა
ნაკრების გამოსვლების თაობაზე. მე არა
მაქვს პრეტენზია, რომ ეს შესვლულეა
უდავოა. ჩვენ გვყავს სპეციალისტთა
დიდი არმია, რომელიც რამდენადმე და-
ფიქრების შემდეგ შეაჯამებს ფეხბურთ-
ში ინგლისის მათთვის ჩემპიონატის
შედეგებს და გააკეთებს ავტორიტეტულ
დასკვნებს. მე კი ერთს ვიტყვი —
ჩვენი გუნდი თამაშობდა ძალზე მონდო-
მებით და თავგანწირვით. მეოთხე ადგი-
ლი მსოფლიოში — საბატო!

საბჭოთა ნაკრების მოთამაშეთაგან, მე
ვფიქრობ, საუკეთესო იყვნენ ჩემი მე-
გობრები — იგორ ჩისლენკო და ვალე-
რი ვორონინი.

ჩემი გემგები? უპირველეს ყოვლისა,
მე, მურთაზ ხურცილაკა და გიორგი სი-
ჭინავა ჩვენს კოლექტივს — თბილისის
„დინამოს“ უნდა ამოვუდგეთ მხარში,
რათა მან აღიდგინოს რამდენადმე შერ-
ყვული რეპუტაცია. შემდეგ კი საბჭოთა
ნაკრების შემადგენლობაში შევუდგები
მზადებას ევროპის მომავალი ჩემპიონა-
ტისთვის.

სპორტული მოქახი

ესაა უჩვეულო მოვანი
მის ყველა წევრს სპორტ-
თან პირდაპირი კავშირი
აქვს. მოვანის თავი — ლუ-
კა ალექსანდრეს-ძე იოაკი-
მიდი — სსრ კავშირის და-
მსახურებული მწვრთნელია
მწვრთნელის საქმიანობა
მამინ დაიწყო, როცა სპო-
რტი საქართველოში ის-ის
იყო ფეხს იდგამდა. 35
წელია, რაც ლუკა მომავალ
თაობას გადსცემს გამოც-
დილებას და ბევრმა დაუ-
ფასა კიდევ — მოიპოვა
სსრ კავშირის ჩემპიონობა.


ცურვის რესპუბლიკური
ფედერაციის წევრი ლუკა
ალექსანდრეს ძე ასლა
ნოზი დინამოელთა ცურვის
ბაჟმეთა სპორტსკოლის ხე-
ლმძღვანელობს და ამავე
დროს საქართველოს ნაკრე-
ბის უფროსი მწვრთნელია.
წარსულში შესანიშნავმა
სპორტსმენმა სპორტში
შეიღებინა ჩაბა. უფროს
აუცი 17 წლის ალგო
სპორტის ოსტატია ცურვა-
ში.

უფროს ძმას არც 16
წლის გრიგოლი ჩამორჩე-
ბა. მართალია სპორტში
მისი მიღწევები უფრო მო-
კრძალებულია, მაგრამ ჯა-
ბუკის შესაძლებლობანი
გარანტიას იძლევა, რომ
იგი სულ მალე ჩადგება
ოსტატთა რიგებში. ცურ-
ვის საიდუმლოებას დიდი-
ხანია დაეფუძა 13 წლის
სლავაც. ასლა ბიჭუნამ მო-
ზრდილთა III თანრიგი
შეასრულა. ექვსი წლის გა-
ლიამ კი ახლახან დაიწყო
ცურვის ანბანის დაუფლება.

ლუკა ალექსანდრეს ძის
მეუღლე ზინაიდა რესპუ-
ბლიკური კატეგორიის მსა-
ჯია ცურვაში. მოვანის სპორ-
ტულ დასატატებში ბებია
ანა მატყვის ასულსაც საკ-
მაო ღვაწლი მიუძღვის.

სურათები: ჯე-
300 — ლ. იოაკიმიდი
შვილებთან (მარცხნიდან
მარჯვნივ) ალექსანდრეს,
გალიასთან, სლავასა და
გრიგოლიან მორიგი ვარ-
ჯიშის წინ. შუაში — ბე-
ბია და შვილიშვილი სტა-
რტის წინ. მ33300 —
დედა-შვილი — გალია
და ზინაიდა საოჯახო
სპორტულ ნადავლთან.

ფოტო გ. კიკვაძისა.
(საქდესი).



სტატისტიკოსთა თვალით

სპორტის მილიონობით გულშემატკი-
ვრისთვის ფეხბურთელთა VIII მსოფ-
ლიო ჩემპიონატი ნელ-ნელა უკანა პლა-
ნზე გადადის. ნის ადგილს იკავებს მო-
ასლოვებული ტურნირები და ჩემპიონა-
ტები სპორტის სხვა სახეობებში. ასე-
თია გულშემატკივრის ბუნება.

მაგრამ ინგლისის ბატალიები დიდ-
ხანს დარჩება მწვრთნელთა და სტატი-
სტიკოსთა მესიერებაში. სპეციალის-
ტებს თავიანთი საქმე აქვთ: ისინი გულ-
მოდგინე ანალიზს უკეთებენ განვლილ
ბრძოლებს, ეძებენ წარმატებათა თუ
წარუმატებლობების მიზეზებს. თავიან-
თი სამუშაო სფერო აქვთ სტატისტიკო-
სებსაც, რომლებსაც სისტემაში მოჰყავთ
და ციფრების ენაზე გადააქვთ პე-
კვირიანი ბრძოლის პერიპეტეიები.

აი, სტატისტიკოსთა რამდენიმე აღ-

მოჩენა: თურმე მსოფლიოს VIII ჩემ-
პიონატის დღეებში უამრავ უბედურ შე-
მოხვევას ჰქონდა ადგილი. ჩვენ აღრეც
ვწერდით იმის შესახებ, რომ რადიო-
რეპორტაჟის მსვლელობის დროს გული
გაუსკდა ერთ-ერთ ბრაზილიელ გულშე-
მატკივარს. ანალოგიურ ფაქტს ჰქონდა
ადგილი ჩემპიონატის გახსნის დღეს
„უემბლის“ სტადიონზეც. ახალგაზრდა
ლონდონელს ინგლის — ურუგვაის მა-
ტჩის დროს ნერვიულობისგან ხისხლი
ჩაეცა. ავადმყოფმა პოსიტალამდე ვერ
მიადგია. იგი გზაში გარდაიცვალა.

გაცილებით მეტი იყო მსუბუქი ხა-
სიათის ტრავმები, მეტწილად ტურის-
ტებში. მიზეზი? გულშემატკივართა მო-
წინააღმდეგე ბანაკთან ხელჩართული
ბრძოლა. ამ მხრივ განსაკუთრებით გა-
მოიჩინეს თავი იტალიელებმა, რომლებ-

საც ჯგუფ-ჯგუფად დასდევდნენ პოლი-
ციელები.

საფეხბურთო ვენებათა ღლევას ვერ
გადაურჩნენ მოთამაშეებიც. სტატისტი-
კოსები აღინშნავენ, რომ ლონდონის
ტურნირზე სერიოზული ტრავმა მიიღო
10-მა ფეხბურთელმა: ბევრი მათგანი
დიდი ხნით გამოეთხოვა ფეხბურთს. აი,
ისინიც: სიმონი და კომბენი (საფრან-
გელი), გრიესი (ინგლისი), პელე (ბრა-
ზილია), რონა (ურუგვაი), ტობარი
(ჩილი), უ. შიპოში (უნგრეთი), ბელ-
გარელი (იტალია), ხეტგესი (გერმ.) და
საბო (სსრ კავშირი).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

საქონელი —
სახეზეა

კაპიტალისტურ სამყაროში სპორტს-
მენი, რაგინდ გამოჩენილიც არ უნდა
იყოს, პირველ რიგში მაინც საქონელია,
რომლის ფასი მუშტრის რაოდენობის
შესაბამისად მერყეობს. ფასი დადებული
აქვს ყველას, თვით ფეხბურთის მეფე
პელესაც.

იოზაფ ა. ტალო

რაც მასწავლებელი,
ის მოწაფე

(მეცნიერულ-ფანტასტიკური ნოველა)

ერთსელ ვენერელები ტრანკისა და პრემოვის ფეხბურთელთა მატჩს დაესწრნენ.
ამ გუნდებს არასდროს უთამაშიათ ასე ცუდად: ვერც ერთმა მხარემ ბურთი ვერ გაი-
ტანა და მოედანი „მშრალი“ ანვარიშით დატოვეს, მაგრამ სტუმრებს შეხვედრა
ერთობ მოეწონათ.

— ჩვენც ვისწავლით ასე თამაშს, — თქვა მათმა ხელმძღვანელმა, — შემდეგ
კვლავ გავწვევით და ამხანაგურ შეხვედრასაც გავმართავთ თქვენთან.

მართლაც, სამი წლის შემდეგ ვენერელებმა ჩინებული გუნდი ჩამოიყვანეს. პირ-
ველსავე ტაიმში მათ ათი გოლი გაიტანეს. რამდენი ბურთი გავიდოდა, სტუმარ-
თა ხელმძღვანელი, იმდენჯერ ნაღვლიანად გადააწყვედა თავს:

— არა და არ გამოუღოთ ჩვენს ბიჭებს თამაში...

— რას ბრძანებთ! — გაოცებით მიუგო იქვე მჯდომმა გულშემატკივარმა ცეკ-
ლარიკმა, — ხუმრობა ხომ არაა: — ათი ბურთი უკვე გაიტანეთ!

— როგორ გვაკადრებთ. რას ჰქვია „გაიტანეთ“! — ხელი ჩაიჭინა ვენერელმა,
— ალბათ, ესურთ დაგვამვიდოთ. ეს, რასაკვირველია, სტუმართმოყვარეობით მო-
გვლით. გოლები რას გვიშველის! გაცილებით სუსტად ვთამაშობთ. ვერ იქნა და ვერ
ვისწავლეთ ეს თქვენი შესანიშნავი „პარს აცლა“.

საქართველოს სპორტკავშირის
კოლეგები იუწყება
მარიამ იოსების ასულ
სიხარულიძის
გარდაცვალებას და თანავარძლო-
ბას უცხადებს განსვენებულის
ოჯახს. პანაშვიდი 18, 19/VI, 20
საათზე, გამოსვენება —
20/VI, 17 საათზე, ფაღალაშვი-
ლის ქ. № 38.

გაზეთ „ლელო“ რედაქციის კო-
ლეგები იუწყება
მარიამ იოსების ასულ
სიხარულიძის
გარდაცვალებას და თანავარძლო-
ბას უცხადებს განსვენებულის
ოჯახს.

ფაღალაშვილის ქ. № 38

ფაღალაშვილის ქ. № 38

ფაღალაშვილის ქ. № 38